

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 309-ე მუხლის 112-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„112. 2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, აგრეთვე 2021 წლის 1 ივნისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება.

შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება:

- ა) საბიუჯეტო ორგანიზაციაზე;
- ბ) საქართველოს ეროვნულ ბანკზე;
- გ) ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოზე;
- დ) საწარმოზე, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი;
- ე) ამ შენიშვნის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოს მიერ დაფუძნებულ/შვილობილ საწარმოზე, თუ ეს საწარმო მის მიერ დაფუძნებული/შვილობილი საწარმოს აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.